203
ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 268
დეკემბრის 14, შაბათი 1902 წ.
1877

ივერია

№ 268
დეკემბრის 14, შაბათი 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1903 წელს

გაზეთი „ივერია“ გამოვა იმავე სივრცით და პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა,

ფასი გაზეთისა მთელის წლით ისევ **თ უ მ ა ნ ი ა**. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

☛ ვინც ახლავე დაიბარებს გაზეთს მერმისისთვის და ერთს თუმანს წარმოადგენს, ამა ნოემბრისა და დეკემბრის ნომრები მუქთად გაეგზავნება. ☚

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში, ქუთ. წიგნების გამომც. ამხანაგობის კიოსკში, აგრეთვე სოსიკო მერკვილაძესთან.
ბათუმში: ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში, და ჰელიძის წიგნის მაღაზიაში.
ფოთში: ავქსენტი ისიდორეს ძე ბიბილუასთან.
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
ზესტაფონში (ყვირილაში): ივანე დავითის ძე საყვარელიძესთან.
საბუნჩაში. პეტრე მაჭავარიანთან.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.
განჯაში:—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).
გორში:— ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—10 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—5 კაპ. მთელი გვერდი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

12 თვ. 10 მ., 11-თ—9 მ. 50 კ., 10-თ—8 მ. 75 კ., 9-თ—8 მ., 8-თ—7 მ. 25 კ., 6-თ—6 მ. 50 კ., 5-თ—5 მ. 50 კ., 4-თ—4 მ. 75 კ., 3-თ—3 მ. 50 კ., 2-თ—2 მ. 25 კ., 1-თ—1 მ. 50 კ.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

სამკერვალო

ქალთა ტანისამოსისა.

ვღებულობთ ქალთა ტანისამოსს შესაკერად

☛ **ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად.** ☚

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა-და-სხვა ხელთ-საქმისას.

აქვე მიიღება შესაკერად კაბა-ანაფორა და სხვა სასულიერო სამოსელი.

ტფილისი. წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ჭრა-კერვისა და ხელთ-საქმის სახელოსნოს გამგე **ანა მერკვილაძისა.**

ს.-პეტერბურგის კომპანია

„ნ ა დ ე ჟ დ ა“

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

დაარსებულია 1847 წელს.

ძირითადი თანხა . . . . 1.650.000 მან.
სათადარიგო თანხა . . . . 2.664,808 მან.

I. გაგზავნა ტვირთისა.

300 სააგენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრესს ადგილას, კავკასიაში, შუა ასიაში, სიბირში და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრესს ქალაქებში საზღვარ-გარედ.

კომპანია კისრულობს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიღებას და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

კისრულობს ჩაბარებს ბარგი გამგზავნთა მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით გამგზავნის ხარჯზედ, ფულის გაგზავნა დეპეშით საქონლის გაგზავნისათვის იქ, საცა ბარგი და საქონელი უნდა იქნას ჩაბარებული და სხ.).

შენახვა საქონლისა შეღავათიანის პირობით იმ დრომდე, ვიდრე პატრონს ჩაჰბარდებოდეს და დაზღვევა მისი საწყობში, რისთვისაც ბევრგან გვაქვს დიდნი საკუთარნი საწყობანი, განსაკუთრებით საქონლის შესანახად მოწყობილნი.

II. ნ ა ვ ო ს ნ ო ბ ა.

კომპანიას აქვს საკუთარი გემები, ზღვებსა და მდინარეში სავლელი ნავები (ბარჟები) პასაჟირებისა და საქონლისათვის, აგრეთვე საბუქსირო გემები (სულ 70 ნავი და გემი). ავლიანი მიმოსვლა პასაჟირთა და ზიდვა საქონლისა მდ. ვოლგას ყოველ ბაქან შორის, რიბინსკიდგან ასტრახანამდე და კასპიის ზღვის ყოველ პორტს შორის, ასტრახანიდგან სპარსეთის საზღვრებამდე.

უზარმაზარნი საწყობნი საქონლისა ნიჟნი-ნოვგოროდში (სიბირის ბაქანთან, ასტრახანსა, ბაქოსა და კრასნოვოდსკში).

III. დაზღვევის ოპერაციები.

ა) **დაზღვევა** საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და არით.
ბ) **დაზღვევა** ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.
გ) **დაზღვევა** ყოველ-გვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.
დ) **დაზღვევა** განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სტრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის „**ნადეჟდას**“-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვის პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნაოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნაოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო სასახლის ქუჩაზეა, ქართველთა თავად-აზნაურობის სახლში. ტელეფონი № 108. (120—6.—67)

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა აცხადებს საყოველთაოდ, რომ კვირას, 15 დეკემბერს, დილის 12 საათზე სათავად-აზნაურო დარბაზში დანიშნულია ქართულ **დრამატიულ საზოგადოების წევრთა ჩვეულებრივი საზოგადო კრება.**

განსახილველი საგნები:

1) წარსულის წლის ანგარიში.
2) სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა 1902—3 წლისა.
3) მოხსენება არტისტთა ფონდის შესახებ.
4) არჩევანი გამგეობის ერთის წევრისა და სარევიზიო კომისიის სამის წევრისა.
5) მოხსენება შესახებ ქართულის წარმოდგენების მართვისა პროვინციებში.
6) მოხსენება შესახებ დრამატიულ კურსების დაარსებისა.
7) მოხსენება შესახებ დასის მთელის წლით შენახვისა.
8) არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების წლიური ანგარიში უკვე მზათ არის და წევრებს შეუძლიანთ მიიღონ თეატრის კანტორაში 11—2 საათამდის.

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე, ხოლო საღამოობით 5—7-მდის.

კვირა-უქმე დღეებში 9—2-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38. (წლ.)

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში

მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს, ფერადი ძაფით ნაკერებს და **კაბებს** ქალებისას და ბავშვებისას.

ბარონის ქუჩა, № 12.

დაიბეჭდა და დაურიგდა ქართულის წიგნის ყველა მაღაზიას გასასყიდათ ახალი ქართული წიგნი

„ჩვენს დედებს“

პედაგოგიური წერილები ალ. ნათაძისა.

ფ ა ს ი 25 კაპ.

ადრესი: ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა, ალ. ნათაძეს. (5—6.—2)

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო

ნახატებიანი გაზეთი

„კ ვ ა ლ ი“

(წელიწადი მეთერთმეტე)

გამოვა **1903** წელსაც ყოველ კვირა დღეს 1—3 თაბახამდე.

გაზეთი წლიურათ ღირს ტფილისში **7** მან., ტფილისს გარედ **8** მან., ნახევარი წლით ტფილისში **3** მან. **50** კ., ტფილისს გარედ **4** მან., ხოლო სამის თვით **2** მ. თითო ნომერი სამ შაურად. ადრესის გამოცვლა ტფილისს გარედ ღირს ორ აბაზად.

ხელის მომწერლებს შეუძლიათ წლის ფული ნაწილ-ნაწილათაც შემოიტანონ.

ხელის მოწერა მიიღება: ტფილისში, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა), რკინის გზის სადგურზე პირველი კლასის ბუფეტში ესტ. ჩხარტიშვილთან და თვით „კვალი“-ს რედაქციაში.

ქუთაისში: მიტროფანე ლაღიძესთან, ვ. ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიაში და ქუთ. გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში; ბათუმში სპირიდონ ჰელიძის წიგნის მაღაზიაში; ოზურგეთში და ახალ-სენაკში—კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში; ჭიათურაში—კალისტრატე ჰიჰინაძესთან და გერასიმე ბერიძესთან; ყვირილაში—ივანე არდიშვილთან; დაბა ხონში—სახალხო სამკითხველოში. ძველ-სენაკში—არსენ წითლიძესთან; ოზურგეთში—დომენტი შავიშვილთან, საბუნჩაში—დიმიტრი მელაძესთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Редакція „КВАЛИ“. (3—მ.—2)

ე ქ ი მ ი

ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფებს დილის 10—11 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

ე ვ რ ო პ ი ე ლ ი ქ ა ლ ი

ინგლისურისა, ფრანგულისა და გერმანულის

ენის მცოდნე, იძლევა

გაკვეთილებს

მსურველთ იკითხონ ქ-ნი ოპპე, ბარონის ქუჩა, ექიმ ღამბაშიძის ბინაზედ. (წ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ზ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, ნერვებისა და შინაგანის ავადმყოფისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ძ. ი. მძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტეპარია) შინაგანისა, ვენერიულ და კანის ავადმყოფობისა.

გ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ზ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არშანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გუმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон- (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მუსინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. დ. ღამბაშიძე—შინაგანი: 9—10.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 10—11 ს.

ზრ. ვ. სობოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—3 საათ.

ზ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—3 ს.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კტრაოები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

ტ ფ ი ლ ი ს ი

◆ ახლო მომავალში ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტში სომეხთა არხიმანდრიტი მესროპი (ტერ-მოვსესიანი) დაიცავს დისერტაციას სომხურის სიტყვიერების მაგისტრის ხარისხის მისაღებად შემდეგ თემაზედ:

„დაბადების სომხურად თარგმნის ისტორია“- ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნულნი არიან პროფესორები: ნ. ი. მარი და ალ. ცაგარელი.

◆ ქართულ დრამატიულ საზოგადოების საზოგადო კრება, დანიშნული 15 დეკემბერს, მოჰხდება საადგილ-მამულო ბანკის დარბაზში და არა თეატრის ფოიეში, როგორც აქამდის იყო გამოცხადებული.

◆ 17 დეკემბერს კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში დანიშნულია სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება; კრება განიხილავს სულთან-კრიმ-გირეის მოხსენებას.

◆ კავკასიის საუცხოვო ხელოვნებათა დამხმარებელ საზოგადოებას გამართული აქვს თავისი სკოლა, სადაც მოსწავლენი სხვა-და-სხვა ხელოვნებას სწავლობენ; ამ ჟამად ამ სასწავლებელში სწავლობს 62 მოსწავლე, მათში ქართველი მხოლოდ ორია.

◆ სწავლა-განათლების მზრუნველმა ინჟინერი ოჰანეზოვი დაამტკიცა ტფილისის სახელოსნო სკოლის დირექტორად.

◆ 18 დეკემბერს, დილის 10 საათზე, საზოგადო კრება ექმნებათ ტფილისის ხელოსანთ.

◆ ამ დღეებში ყოვლად სამღვდელო დიმიტრი, რომელიც დროებით განაგებდა გურია-სამეგრელოს ეპარქიას, ეპისკ. ალექსანდრე ავადმყოფობის გამო, ტფილისში დაბრუნდება.

◆ ბათუმში ამ ჟამად დიდძალი ხალხი გამხდარა თურმე ავად გაციებით. გადამდებ სენით ავადმყოფ ბავშვთა რიცხვი-კი ერთობ შემცირებულა.

◆ გუშინწინ, 12 დეკემბერს, მთავარმართებლის კანცელარიის დირექტორი პოლკ. ვ. ო. ტროფიმოვი პეტერბურგს წავიდა.

◆ ხმები ისმის, სუხუმის ქალაქის თავი ბ-ნი დიმიტრიევი ამ თანამდებობაზედ რჩება ქალაქის ახალ არჩევნებამდისაო. არჩევნები მოხდება 1903 წ.

◆ პეტერბურგიდგან დაბრუნდა ქუთაისში საადგილ-მამულო ბანკის თავმჯდომარე ვ. ს. მელნიკოვი.

◆ გუშინწინ ტფილისის ოლქის სასამართლოს სესია გორში წავიდა, სადაც უნდა დარჩეს 21 დეკემბრამდის.

◆ ქალაქის ხორცის დუქნების ზედამხედველმა ამ დღეებში ტელიანისაგან შეიძინა 80 სული ღორი 921 მან. 83 კაპეიკად. რადგანაც ტელიანმა იკისრა ქალაქის ხორცის დუქნებისთვის ღორების ფარის ჩამორეკა დი ვაჭრობა, ამიტომ დუქნების ზედამხედველმა ტელიანს აღუთქვა კრედიტი და ამ თავითვე ბეთ მისცა 300 მანეთი.

◆ ტფილისის პოლიცმეისტერმა დაავალა ბოქაულებს, არა უგვიანეს პირველ თებერვლისა, წარმომიდგინეთ რამდენია ქალაქში მცხოვრები ქართველი, რუსი და სომეხიო, რამდენი ქარხანა მუშაობს ქალაქში, რამდენი მომუშავე იყო თითო ქარხანაში, წლის განმავლობაში რამდენი დაიბადა და რამდენი გარდაიცვალაო.

◆ ქალაქის გამგეობამ უკანასკნელ თავის კრებაზედ დაადგინა კავკასიის რკინის გზათა მოხელეების მომხმარებელი საზოგადოება მისცეს პასუხის გებაში, ამა საზოგადოების მაღაზიის უსუფთაოდ შენახვისა და ზოგიერთ უვარგის სანოვაგის გასყიდვისათვის.

◆ სწორედ ყურადღების ღირსია ყაზიბეგის ქუჩის მდგომარეობა. ეს ქუჩა (გვრაზედ) განაპირას არ არის, უფრო შუა ქალაქს ეკუთვნის—წყნეთის ქუჩის შესართავშია. თითონ წყნეთის ქუჩა, არა თუ მოკირწყლულია, ზედ რელსებიც-კი აწყვია. ამ ყაზიბეგის ქუჩის მარცხნივ და მარჯვნივ ქუჩებიც მოკირწყლული—ქვა-დაფენილია და ამ აბუჩად აღებულმა ყაზიბეგის ქუჩამ რა დააშავა, რომ ამისთანა საშინელ მდგომარეობაშია, არ ვიცით. არა თუ ტროტუარი, სულ ორღო-ჩორღოებია, გავლა არ შეიძლება, მეტადრე ზამთარში. ან რა გასაკვირველია? თითქმის დღემდის სახლის პატრონები შუა ქუჩაში ყრიდნენ კირს, ტალახს, აწყობდნენ აგურს, მუშების პურის საჭმელი და ყველა საჭიროების ადგილი იყო ამ ქუჩაზედ. ეტლები ძნელად თუ გამოჩნდებიან აქ, შიგ მჯდომს ბურთივით ისვრის აქეთ-იქით და თითონ მეეტლეებიც, რა-კი გაიგონებენ ამ ქუჩის სახელს, ეშმაკივით გაურბიან. ღამე ხომ აქ გავლა ძნელი წარმოსადგენია. აბა, ამ ქუჩაზე ითქმის: თუ გინდა გავლა ჯერ ანდერძი დასწერეო. შემოდგომაზე კიდევ იმედი იყო, ამბობდნენ ქალაქმა „სმეტაში" შეიტანა ამის გაკეთებაო, მაგრამ ეს ტყუილი იმედი ყოფილა, ამ ყაზბეგის ქუჩის ზემოდ მიდის გზა სომხების სასაფლაოსკენ და თურმე ამ გზის გაკეთებას აპირებენ, ეგეც კარგია. ყაზბეგის ქუჩაზე კისერ-მოტეხილებს დიდებით მაინც მიასვენებენ სასაფლაოზე.

◆ პოლიციას აზრადა აქვს დაავალოს უნამუსო დიაცთა სახლის პატრონთ, თითოეულ დიაცის სახლობაზედ ინახონ ხუთ-ხუთი მანეთი კასებში. თუ ვინიცობაა, ქალმა მოინდომა სვინიდისიანი ცხოვრება და თავი დაანება უზნეობის სახლს, ეს ფული ხელში უნდა მიეცეთ და ამით უნდა იცოცხლონ, ვიდრე რაიმე საქმე და სამუშაო იშოვონ პატიოსანის გზით ლუკმა პურის მოსაპოვებლად.

◆ მეორე საკვირაო სკოლის გამგეობამ სთხოვა ქალაქის გამგეობას, იმ სამას მანეთის მაგივრად, რომელსაც ყოველ წლივ სკოლას აძლევთ, ოთხასი მან. დაუნიშნეთო.

◆ 2-რე საკვირაო სკოლაში ამ ჟამად დაიარება 140 ქალი. სკოლის შენახვაზე 1902 წ. დახარჯულა 460 მან.

◆ აზნაურს მელიქოვს გუბერნატორისათვის მიურთმევია ქაღალდი და უთხოვნია, ნება მომეცით ნავთლუხში წყლების დასაწმენდი ქარხანა გავმართოვო. გუბერნატორსაც და ქალაქის გამგეობასაც ნება დაურთავთ მელიქოვისათვის ქარხანა გამართოს ნავთლუხში.

◆ ამას წინად ნავთლუხში ბ-ნ ჩიჯავაძის გომურში შეპარულიყო ორი ქურდი. როცა აუშვეს საქონელი და ელალებიან, ამ დროს გამოიღვიძა ერთმა ბიჭმა და შეეკითხა, ვინა ხართ, ქურდს მაშინვე კარებისკენ მიეწია, მაგრამ ბიჭიც ყოჩაღი ყოფილიყო, წამოსწეოდა და ქვეშ ამოედო; ყვირილზედ მეორე ქურდი გამოვარდნილიყო გარედ და შიგ მყოფ მწყემსებისათვის კარი გადარაზნა; იშიშვლა თურმე ხანჯალი და გამართა ამხანაგის საშველად; მწყემსმა ქურდს თავი დაანება, მაგრამ ხანჯალმა მაინც დაღი დააჩნია; მეორე დღეს შეუდგნენ ქურდის ძებნას; ძებნამ უბრალოდ არ ჩაიარა და იპოვეს ქურდი. სტაცეს ხელი, ქურდი პოლიციაში დაამგზავრეს, მაგრამ მალე განთავისუფლდა და ორის საათის შემდეგ მიუვარდა დაჭრილ მწყემსს ბინაზედ და მოკვლას უპირობდა თურმე ეს ამბავიც ეუწყა პოლიციას, მაგრამ ის გმირი მაინც დღესაც დაუსჯელად თურმე დასეირნობს ნავთლუხის მიდამოში.

◆ დღეს, 14 დეკემბერს, ქალაქის გამგეობის სადგურში დანიშნულია ახლად არჩეულ ქალაქის საქმეთა მეთვალყურე კომისიის წევრთა კრება; კომისიამ უნდა ამოირჩიოს თავმჯდომარე.

◆ ნაძალადევში, გუშინ 13 ნოემბერს, თავის სახლში მოკლული აღმოაჩინეს სოფ. დაშტაშის მცხოვრები მაშადი ხიდა-აბრაჰამ-ოღლი; პოლიციას ერთი მკვლელთაგანი უკვე შეუპყრია—ნახიჩევანში მცხოვრები,—ალი-მამედ-ტალი-ოღლი; გამოძიება სწარმოებს.

◆ ქალაქის ქუჩებში მაწანწალა ძაღლების გამწყვეტმა აგენტმა წარუდგინა გამგეობას ქაღალდი, რომ ამ თვის მეორე ნახევარში—16 დან, შემდეგს უბნებში შევუდგები ძაღლების ჭერასო. მე-10-ე უბანში 16, 17 და 18-ს; მე-9-ში—19, 20, 22-ს; მე-7-ში—28 და 30 და მე-6-ში 31 დეკემბერსაო.

◆ მეექვსე საბოქაულოში, მირზოევის აბანოში, გუშინ-წინ უცბად გარდაიცვალა ტფილისის მცხოვრები არაქელოვი.

ჩვენებური ამბები

გუდაუთი (აფხაზეთი). გუდაუთში არის ექვსასი მცხოვრები, ამ ექვსას მცხოვრებთაგან რუსი და სომეხი ორმოცდა ათამდე იქნება, დანარჩენი სუყველა ქართველია. აი, ამდენ ქართველს, ათი წელიწადია იქნება, ქართული წირვა-ლოცვა არ მოუსმენია. დანატრებული ვართ ჩვენებურს გალობას, მშობლიურს ხმებს. უმეტესობას არ გვესმის რუსული ენა და სლავიანური ნახევარს არ გაგვეგება. წირვა-ლოცვა ხომ არავის ესმის ჩვენთაგანს. ამ ნაირად ვიტანჯებით ამდენი მოსახლე კაცი. დიდს მადლს გვიზავდნენ, თუ უმაღლეს მთავრობის ყურამდე მიაღწევდნენ ასეთს ჩვენს გაჭირებას.

გუდაუთელი.

—

ს. სურები (ოზურგეთის მაზრა). სოფელ სურებს აღმოსავლეთის მხრით არტყია ერთი უზარ-მაზარი ტყე; ამ ერთის წლის წინად შეევაჭრა ამ ტყის მეპატრონეებს ვიღაც იუნგი, ასეთი უზარ-მაზარი ტყე დაინარჩუნა ასი ათასს მანეთად. თუმცა მეტად მიუვალი მდებარეობა აქვს სურების ტყეს, მაგრამ ასი ათასი მაინც არაფერია მის ფასად: იუნგმა ეს ტყე გაყიდა 200 ათასს მანეთად! ტყის პატრონებმა რაც აიღეს, იმისიც მოხარულნი არიან: ქესატობაში პატარა ფული ვიშოვეთო. უხარიანთ ტყის გაყიდვა სურების გლეხებსაც: ტყეში მუშაობას დაიწყებენ და ჩვენც სამუშაო გამოგვეჩნდებაო. გლეხები იმას არ იღებენ მხედველობაში, რომ ტყიდან მრავალი ყავარი და ხეები გამოჰქონდათ, რითიც თავიანთი თავი იოლად მიჰყავდათ.

სურებელი.

—

სურამი. 10—15 წლის წინად სურამი წარმოადგენდა ყრუ დაბას, რომელიც მოკლებული იყო ყოველ-გვარ კულტურულ დაწესებულებას. სამკითხველოსი და სკოლების ხსენება არსად იყო. გლეხ-კაცს სოფლიდგან შემოჰქონდა ხილი, ხორბალი და სხ. და ვინმე ჩარჩი-წურბელა ჩალის ფასად აცლიდა ხელიდგან ყოველივეს. სურამელებმა არ იცოდნენ ყადრი ბუნების სიმდიდრისა და გულ-ხელ დაკრეფილები შესცქეროდნენ ცას, თითქოს ცას ჩვეულებად ჰქონდეს ადამიანის შებრალება და გაურჯელად აძლევდეს კაცს რაიმე სიკეთეს, გაუმჯობესებას. კარგად გრძნობდნენ თავს მხოლოდ ორიოდ-სამიოდე ჩარჩი. ესენი სარგებლობდნენ ხალხის გამოუცდელობით. სურამში გაძლიერებული იყო სოფლელების ცარცვა-ყვლეფა. როგორც ყველგან, აქაური ჩარჩებიც იგდებდნენ ხელში სოფლელებისა ღ თვით სურამში მცხოვრებთა სარჩო-საბადებელს და სხვა ქალაქებში გაჰქონდათ მამასისხლად გასასყიდად.

სურამში ამ რამდენიმე წლამდის არ იცოდნენ, რომ გვერდით ჰქონდათ დიდის ღირსების „წითელი მიწა". ეხლა ამ მიწაში აკეთებენ და აგრეთვე მასვე ხმარობენ კედლების გასალესად. ჩვენდა სასიხარულოდ, ეს „წითელი მიწა დღეს მრავლად გააქვთ აქედგან და კარგს შემოსავალს აძლევს მის პატრონს.

გავიდა ძილის დრო. სურამელებმაც იგრძნეს უფრო მეტი განათლება—წინ სვლა გვეჭირვებაო...

სურამშიაც დაარსდა სასწავლებელი, მაგრამ ვაი რომ ეხლანდელი სკოლები მარტო სახელისათვის არიან! როგორც ამას წინად ერთმა სატახტო ქალაქის გაზეთმა სამართლიანად აღიარა, რომ სკოლაში ასწავლიან ცხოვრებაში გამოუსადეგარ რამეებსო და არა სასარგებლო ცნობებსო.

სკოლას სურამში სამკითხველოც მოჰყვა, მაგრამ რა საჭირო იყო? სამკითხველოს მაშინ აქვს ნიადაგი, როდესაც წინამორბედათ აქვს კარგი სკოლა. სკოლა არის ის დაწესებულება, სადაც ხალხმა წერა-კითხვა უნდა ისწავლოს, განათლდეს, მეტი სინათლის მოთხოვნილება აღეძრას, სამკითხველოს შემწეობით-კი ეს მოთხოვნილება უნდა დაიკმაყოფილოს. თუ ეს ასეა, მაშინ აშკარაა, რა მიზეზითაც არ მოაქვს სარგებლობა სურამის სამკითხველოს და ხალხი, წიგნების და ჟურნალ-გაზეთების კითხვის მაგივრად, კარაპეტოვის დუქანში რათ მიისწრაფვის!

საკვირაო სკოლის დაარსება განიზრახეს წარსულ ზაფხულს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა და მის დაარსებაზე ნებართვა უკვე მიიღეს. სკოლაში სწავლა უფასო იქნება, რაც ძალიან წააქეზებს მცხოვრებთ, რომლებიც ყოველ დაწესებულებას ეჭვის თვალით უცქერიან და მის შესანახად ფულს ძვირად იმეტებენ. საკვირაო სკოლაში ივლიან როგორც სურამის მცხოვრებნი, აგრეთვე გარეშე სოფლელნიც, რომელთაც პირველად ეძლევათ შეძლება საქმეს არ მოსცდნენ სადა დღეებში და კვირა-უქმით, დუქნების მაგივრად, იარონ სკოლაში და აქ მათ ასწავლიან წერა-კითხვას, გალობა-სიმღერას და გაუმართავენ სახალხო კითხვებს. სახალხო კითხვების გამართვა ყველაზედ უსაჭიროესი და სასარგებლოა ხალხის განვითარებისათვის, ამით ხალხი ისმენს ცოცხალს სიტყვას, რომელიც გულში ეძლევა და სამუდამოდ რჩება.

საკვირაო სკოლას ძირითადი თანხა არა აქვს, რის გამოც საჭიროა მეთაურებმა ახლავე მიმართონ შეწირულების შეკრებას ამ სასარგებლო დაწესებულების შესანახად. თუ სკოლა ქონებრივ უზრუნველ ყოფილ იქნება, მაშინ ის შესძლებს განათლება მოჰფინოს მცხოვრებთა შორის. რაც შეეხება იმ კეთილ და მცოდნე პირთა რიცხვს, რომლებიც არ დაიშურებენ სკოლაში სიარულს ღ სკოლაში მოსიარულეთა ხელმძღვანელობას, ბევრია. ვუსურვებთ, რომ ამ სკოლას მიეხწიოს მიზნისათვის და არ გამხდარიყოს მსხვერპლად იმ შეუთანხმებლობისა, რომელმაც ახალგაზდათა შორის იჩინა თავი წარსულ ზაფხულის ბოლოში. ეს უთანხმოება, უნდა ალვიაროთ, სასიამოვნო მოვლენაა ერთის მხრივ: მხოლოდ იქ არის უთანხმოება სადაც აზრი არის და სადაც ხალხს გამოუღვიძია და მოქმედობს სინათლის გამოსარკვევად. სადაც არც აზრია და არც მოქმედება, იქ არც უთანხმოებაა, რადგან არაფერი აქვთ ერთმანეთში გასაყოფი და გამოსარკვევი.

საკვირაო სკოლის შემდეგ, მეორე სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩაითვალოს მომრიგებელ სასამართლოს განყოფილების დაარსება. აღსანიშნავია სურამის ცხოვრებაში აგრეთვე ის გარემოება, რომ სურამელებმა მოქალაქეებად გახდომა ინდომეს, რის მოხარულნი ჩვენცა ვართ. განზრახვაა, სურამი პასადად გადააკეთონ და ამისთვის სურამელებმა წლიწადში 400 მანეთი უნდა იხადონ.

რ.

—

ზემო რაჭა. მიწის სივიწროვემ რაჭველებს გაუძლიერა შრომის მოყვარეობა. ეს ათი წელიწადია, რაც ჩვენში ხეირიანი მოსავალი არ ყოფილა სიმინდისა, პურისა და ღვინოსი; ან ერთის მოსავალი იღუპებს, ან მეორესი, უფრო ხშირად-კი სამივესი. წელსაც ძალიან ცოტა მოსავალი მოვიდა, რის მიზეზებიც იყო: ვენახის სენი, სეტყვა და საერთოდ უამინდობა მოწევის დროს. ვენახები ისე დასეტყვილა, რომ საგაისოდაც დაზარალდა ვენახი. ადრე დათოვლის მიზეზით პურიც დაუთესავი დაგვრჩა; ახალი თესლი-კი (საგაზაფხულო) ორი წელიწადია, რაც შემოვიდა ჩვენში და ჯერ არ გავრცელებულა. ასე რომ გაისის მოსავალი ახლავე ვიცით, როგორიც იქნება.

რაჭველების ჩვეულებამ—„გარედ გასვლამ", „მოსკებში"—ამ მოუსავლობის დროს ძალიან იმატა. მაგრამ ჯერ ერთი—რაჭველებს ამ მხრივ ბევრი მეტოქე აღმოუჩნდა, და ფულის შოვნა გასჭირდა. მეორე: „ბედმან შეჰკრიბოს, ჭკუამ დაჰკარგოს, დამრჩების მე რა სარგებელი"? ათასნაირი ძველი მაზარალებელი ჩვეულებანი სხვა-დასხვა ცრუმორწმუნეობა და წარმატება ერთად ვერ მოთავსდება. რამდენიმე ასეთი ჩვეულება, ამ რამდენიმე თვის წინედ, აღვნიშნე „ივერია"-ში. ხალხის მთელი ცხოვრება მათ ჩვეულებათაგან შესდგება; ჩამორჩენილი ხალხის ჩვეულებები-კი უმეტეს ნაწილად მაზარალებელია.

ჩვენში ქალ-ვაჟი ერთმანერთის სიყვარულითა და სურვილით-კი არ უღლდებიან: აქ (ეს ჩვეულება აქვსთ გლეხებს) ვაჟი ყიდულობს ქალს. ჩვეულებრივი ფასია 10—20 თუმნამდე. ლამაზი ქალის ყოლა მშობლებს მეტად უფრო უხარიათ, რომ იმაში მეტს ფულს აიღებენ. რა-კი ქალის გათხოვება გაჭრული წესით ხდება, ცხადია, რომ ქალის ან ვაჟის გარეგნობის, ზნეობრივისა და გონებრივის თვისებას ცოტა მნიშვნელობა აქვს. მახინჯს და უზნეო კაცს შეუძლია, თუ ფული აქვს, ლამაზი ქალი შეირთოს.

ასეთივე ჩვეულებაა ლისუთში (ლისუთი რაჭაზე მიბმულია), მხოლოდ იქ ქალს ყიდულობენ ფულით-კი არა, მინაური პირუტყვით: ორი ხარი სამი ძროხა, სამი ცხვარი, თოფი, ქვაბი—აი ერთი ქალის ფასი.

„ტირილს", „ზარს" დიდი ზარალი მოაქვს ხალხისათვის. როდესაც მღვდელს ვკითხე რატომ არ უქადაგებთ, რომ ეს ჩვეულება მოიშალონ მეთქი, მან მიპასუხა: არ მოიშლიან და უნაყოფოდ ჩაივლის ქადაგებაო. რასაკვირველია! თუ ქადაგება და სწავლება უნაყოფოთ რჩება, რადასთვის ხსნიან სასწავლებლებს, რისთვის სწერენ წიგნებს, ან მღვდლები რაღად გვინდა?.. მადლობა ღმერთს, რომ ქრისტესა და მის მოციქულებს ასე არ უფიქრნიათ!..

ჩვენს სოფელში (სამიწო) ცერემონიით ტირილი და ზოგი სხვა მაგვარი ჩვეულება მოვსპეთ, და ხარჯმაც შეუდარებლად იკლო. სხვა სოფლებში-კი ასეთი ჩვეულებანი არ მოშლილა, თუმცა ეპისკოპოზის განკარგულებას ეს აზრი ჰქონდა, ბრძანებით ხალხის ჩვეულების მოსპობა ძნელია.

„ცნობის ფურცლის" № 1877-ში თ-დი დიმიტრი ყიფიანი სწერს, რაჭისა და ლეჩხუმის ერთ მაზრად შეერთების, ჭრებალოს სამაზრო ქალაქად გადაკეთების და ცაგერსა და ონში განყოფილებათა დაწესების შესახებ. მისი წინადადება შემცდარად მიმაჩნია შემდეგის მოსაზრებით: ჩვენ უნდა ვცდილობდეთ სასარგებლო და-

ფელეტონი

ალექსანდრე ბატონიშვილი

(ისტორიული ცნობა)

V

(დასასრული *)

ამის შემდეგ დიდხანს აღარ გაუვლია, რომ ალექსანდრე ბატონიშვილი მთელის ამალით დაიძრა სპარსეთიდგან და დაღესტნის ერთ თავისუფალ და ფრიად გამაგრებულ სოფელ ანწუხში დაბინავდა. ამ სოფლის მკვიდრნი ლეკნი დიდის მოწიწებით იფარავდნენ ბატონიშვილს და ყოველ მის საიდუმლოს ფარულად იცავდნენ. აქ ბატონიშვილი თუმცა სრულიად უზრუნველ-ყოფილად სთვლიდა თავის თავს, მაგრამ აქედგან დაძვრა მისი-კი ძრიელ საშიშო იყო. გენ. რტიშჩევის განკარგულებით, ბატონიშვილ ალექსანდრეს აქედგან წასასვლელი გზა შეკრული ჰქონდა. ბატონიშვილის მდგომარეობა მეტად შევიწროებული იყო. თან უფულობაც აწუხებდა. როგორც თავისთვის, ისე მხლებლებისათვის საზრდო ელეოდა. მომშველებელი ჯარი არსაიდგან არ სჩანდა. საზღვრებზედ ყველგან დაყენებული იყო ჯაშუშები და ამბავი მიჰქონდათ გენ. რტიშჩევთან. თვითონაც ვერსად ვერ მიდიოდა.

ამ გვარ მდგომარეობით შეწუხებული ბატონიშვილი მთელს ღამეებს თეთრად ათენებდა და მხურვალე ლოცვასა და ფიქრში ატარებდა დროს. ბოლოს იფიქრა: ნუ თუ დიდებულ რუსეთის ხელმწიფის ნებაა, რომ ასე ვიტანჯოთ და ასე ვეწვალოთო? ნუ თუ ყველა ეს განკარგულება გენ. რტიშჩევისა ყოვლად მოწყალე ხელმწიფის ნებით და ბრძანებით არის?! ჰფიქრობდა იგი გულში. დიდათ ვეჭვობ, რომ ეს ასე იყოსო. დიაღ, მე სრულებით დარწმუნებული ვარ, რომ დიდებული რუსთ ხელმწიფე იმდენად სულგრძელი და მრავალ მოწყალეა, ეს ჩვენი ამბავი რომ იმას იცოდეს, სულ სხვა გზაზედ დაგვაყენებს, სულ სხვა მიმართულებას მისცემს ჩვენს ცხოვრებას. ასე ბჭობდა გულში ალექსანდრე ბატონიშვილი, და ასეთს ფიქრს ეძლეოდა ხშირად.

ბევრის ფიქრისა და სულიერ ღელვის შემდეგ მისწერა მან ანწუხიდგან 6 ოკდომბერს 1815 წელს მათ იმპერატორებით უდიდებულესობას სრულიად რუსეთის ხელმწიფეს წერილი: „ყ˜ლ მოწყალეო ხელმწიფევ! ჩემი მდგომარეობა და ყოველივე გარემოება კარგად მოგეხსენებათ. თუმცა ბევრი გასამართლებელი საბუთი მაქვს, მაგრამ თავის გამართლებას აღარ შევუდგები და გთხოვთ, ხელმწიფეო ჩემო, მომხედეთ, მომეცით ნება თქვენის პირადათ ხილვისა და ყველაფრის თქვენს წინაშე თქმისა! ეხლა საქართველოს საზღვარზედ ვიმყოფები, დაღესტანში ვარ და მსურს კიდევაც გადმოვიდე თქვენსკენ, მხოლოდ ნება მომეცით თქვენამდის მოსვლისა".

ამგვარ წერილის შემდეგ უმაღლესის განკარგულების ძალით გენერალ-მაიორმა დელპოცომ გაჰგზავნა ბატონიშვილთან პორუჩიკი ყორღანოვი, გაატანა თან ბოქაული ფილატოვი და შეუთვალა, რომ, აი, ამ კაცის ხელით გიგზავნით ნივთებს და ფულს, სულ ათას ხუთას მანეთსაო. ეს ფული თქვენ მოიხმარეთ და გაისტუმრეთ ვალი, რომელიც დაგდებიათ. თუ არ გეყოთ, მძევლად დასტოვეთ მანდ ერთი თქვენი მხლებელთაგანი. თქვენ ყიზლარში ჩამობრძანდით, ჩვენ იქ დაგხვდებით. თქვენს მხლებელს მერე ჩვენ გამოვისყიდითო.

გაგზავნილი კაცები რამდენისამე ხნის შემდეგ ბატონიშვილს იახლნენ. ხელმწიფის გამოგზავნილი ფული და ნივთები მიართვეს და მოახსენეს, რომ დიდის აღტაცებით და სიხარულით მოელიან თქვენს ბრწყინვალებას ყიზლარშიო. ბატონიშვილის სიხარულს საზღვარი აღარა ჰქონდა, რადგან უფულობით ილაჯგაწყვეტილს დღეს 1500 მანეთი ჩაუვარდა ხელში. გავიდა დღეები, თვეები და ბატონიშვილი არსად სჩანდა. გენ. დელპოცომ პასუხი მოსთხოვა ბატონიშვილს, მაგრამ ბატონიშვილმა დიდხანს არა შეუთვალა-რა. გენ. მ. რტიშჩევმა ბატონიშვილის შესახებ ცნობანი მოსთხოვა გენ. დელპოცოს, და იმანაც აცნობა ის, რასაც თვითონ ფიქრობდა და რაც ბატონიშვილის გულის პასუხიც იყო. მისწერა, რომ ბატონიშვილი გვატყუებს, ალბად, არ უნდა ჩვენსკენ წამოსვლა, თორემ, რატომ ამდენს ხანს არც ბარათსა გვწერს და არც თვითონ მოდისო?! ეს აზრი სრულიად მართალი გამოდგა... გენ. რტიშჩევიც დაემოწმა დელპოცოს და შეუდგა უქვეშევრდომილეს მოხსენების წერას; ამ მოხსენებაში ამბობდა, რომ 3 სეკდემბერს 1816 წელს ანწუხიდგან მოვიდა ჩემთან აზნაური სომეხთაგანი მადათოვი და მომიტანა პორუჩიკის ყორღანოვის (ისიც სომეხია) რაპორტი; ამ რაპორტიდან სჩანს, რომ „პრაპორშჩიკი ყორღანოვი გენერალ დელპოცოსაგან გაგზავნილი იყო ანწუხს ბატონიშვილ ალექსანდრესთან, რომელსაც მიართვა ხელმწიფე იმპერატორისაგან ნაბოძები ნივთები და ფული, თან გამოუცხადა ხელმწიფის მოწყალება, მისი ნება რთვა ბატონიშვილის პეტერბურგს წასვლისა, მაგრამ, როგორც ბატონიშვილის წერილიდგან სჩანს, იმას არ შეუძლიან ასე უცებ წამოვიდეს, რადგანაც მისის ამალის ერთი ნაწილი, რომელიც ქართლ-კახეთის დიდებულ და გამოჩენილ გვარის კაცებისაგან შესდგება, ამ ჟამად ისევ სპარსეთში იმყოფება, თავრიზსა და ერევანს.

ნება მომეცითო,—მწერდა ბატონიშვილი, რომ გავგზავნო მათთან კაცები, ვაცნობო ეს ამგვარი რუსეთის ხელმწიფის ჩვენდა მოწყალება, იმათაც, რომ ჩვენთან ერთად იმათაც ისარგებლონ ამ მოწყალებით და გაიხარონო. ამასთან გვთხოვდა, რომ იმის გაგზავნილ კაცებს თავისუფლად შესძლებოდათ სპარსეთში გადასვლა და ამბის წაღება.

თუმცა სულ სხვა პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა ამ შემთხვევას, თუმცა ჩვენც შევეძლო სულ სხვანაირად შეგვეხედა საქმისათვის, მაგრამ სხვა-და-სხვა მოსაზრებით გადავსწყვიტეთ გაგვეგზავნა კაცი ბატონიშვილთან და შეგვეთვალა, რომ არამც თუ დაუშლის ვინმე სპარსეთში გადასვლას თქვენს გაგზავნილ კაცებს, არამედ ჩვენ თვითონ გავატანთ იმათ ჩვენს კაცებს, რომ ხმა არავინ გასცეს და უვნებლად მივიდნენ სპარსეთშიო. ალექსანდრე ბატონიშვილის შესახებ დაწვრილებით მქონდა ყოველივე მოხსენებული საიდუმლო პოლიციის სახელზედ გამოგზავნილ წერილებში; იქ ჩამოთვლილი იყო ყველა ის ხრიკები, ოინები და საშვალებანი, რომლის შემწეობითაც, როგორც მე, ისე ყველა ჩემს წინამოადგილეს ატყუებდა ეს ბატონიშვილი. ეხლანდელი მისი ამ გვარი წერილი ნიშანია სულ სხვა მიმართულებისა, ალბად, არ ეპყრობიან სპარსეთში ისე, როგორც შეჰფერის, თორემ პეტერბურგში წასვლას ბატონიშვილი ასე უცებ არ გადასწყვეტდა. ან შეიძლება, სულ სხვა მოსაზრებით ამბობს ამას და გულში ისევ სპარსეთში გაქცევა აქვს... მაგრამ ახლა-კი სწორედ დროა ან მოფერებით და ან სხვა საშვალებით ხელში ჩავიგდოთ ბატონიშვილი, თორემ სანამ ის სპარსეთში იქნება, მანამ ქართლ-კახეთში მშვიდობიანობა არ დამყარდება. ეხლანდელ მის დაპირებას მე პირადად არავითარს მნიშვნელობას არ ვაძლევ და არც მჯერა. არ მჯერა, აი, რა მოსაზრებით: ერთი რომ სპარსეთის მთავრობა ბატონიშვილს ისე უყურებს, როგორც ერთს უკეთეს იარაღს, რომლის საშუალებითაც ყოველთვის ადვილად შეეძლება დაღესტნის მცხოვრებნი ააჯანყოს და ქართლ-კახეთშიაც სიყვარული და ნდობა მოიპოვოს და მით რუსეთის მთავრობის გავლენა ამ მხრივ თან-და-თან შეასუსტოს. მეორე, ის კაცი, რომელმაც ბატონიშვილის ამბავი მოგვიტანა და პრაპორშჩიკად იწოდებს თავის თავს, გახლავს ვიღაც სომხის აზნაური ყორღანოვი; ამ ყორღანოვს ქართველები თავის საზოგადოებაში არ იღებენ. იმას ისე უყურებენ, როგორც გაფუჭებულს, სინიდის დაკარგულს და ზნე დაცემულს კაცს. სათავადაზნაურო საზოგადო კრებაზედ ამ მიზეზით ნება არ მისცეს დასწრებისა და გააძევეს კრებიდან. აი ამ გვარი კაცი კისრულობს ბატონიშვილის მოციქულობას. განა ეს შესაწყნარებელია?! ვსწერ რა ამას, მოგახსენებთ სრულს ჭეშმარიტებას, რომ თუ ამ გვარ კაცებს მანდ მოსვლის ნება ექნებათ და რომელისამე ბატონიშვილის თხოვნას ხელმწიფე იმპერატორი პირდაპირ მიიღებს უჩვენოდ, ჩვენ დაუკითხავად, და რაიმე კმაყოფილებას ანუ გზას მისცემს, მაშინ აქაური საქმეები, ისედაც არეული, სულ უფრო აირევა და წახდება. ბატონიშვილის სურვილის შესრულება მე ძლიერ საეჭვოდ მიმაჩნია; საეჭვოდ მიმაჩნია იმიტომ, რომ თუ წამოსვლა უნდოდა პეტერბურგს, რატომ მაშინვე არ წამოვიდა, როდესაც ხელმწიფე იმპერატორისაგან ნება-რთვაც მოუვიდა და ფულიც; მაგრამ არა, თავის ორჭოფა აზრების განსახორციელებლად ერთის თვის შემდეგ გამოგვიგზავნა მადათოვი და დაგვეკითხა, მივსცემ თუ არა ნებას მის კაცებს სპარსეთს წავიდნენ, და ეს ამბავი მის ამალას აცნობონ. ამას ბატონიშვილი სულ სხვა აზრით თხოულობს. ის ასე ჰფიქრობს: სანამ ამის პასუხი მე მომივა, სანამ იქ კაცებს გავგზავნი და იქიდგანაც პასუხს მივიღებ—ამასობაში ორისამი თვეც გავა. ორის თვის შემდეგ დადგება ზამთარი, მთები აივსება თოვლით და გზებიც შეიკვრის ყველგანაო. მე მგონია რომ ბატონიშვილი ასე მოიქცევა: გაზაფხულამდის ანწუხში იქნება დამწყვდეული. ფული, რომელიც ყორღანოვს მხოლოდ მაშინ უნდა მიეცა, როცა გზაში წამოსასვლელად გამოწყობილს დაინახავდა, სულ ხელში ჰქონდა და, რატომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ბატონიშვილი იმის მაგიერ, რომ რუსეთში წავიდეს, ეცდება სპარსეთში გადვიდეს როგორმე და ისევ თავის პლანების განხორციელებას შეუდგეს კვლავინდებურად. ასეთი საქციელი ადვილად მოსალოდნელია, რადგან ამ გვარად ჩვენცა და ჩვენი მთავრობაც

---

*) იხ. „ივერია" № 267.

წესებულებათა გამრავლებას და აქ ორი მაზრის შეერთებას ქადაგობენ. და ამ შეერთების მიზეზი მხოლოდ ის არის, რომ ონსა და ცაგერს ცუდი მდებარეობა აქვსთ და ჭრებალოს-კი კარგით. ქალაქი უნდა გაშენდეს სადაც უფრო საჭიროა, სადაც მეტი ხალხია, კარგი გზები. გარდა ამისა, ონი მდებარეობს კავკავისა და ცხინვალის გზა—ჯვარედინზე. როგორი მნიშვნელობაც აქვს ამ ორ გზას რაჭისთვის, სადაც ამ ბოლო წლებში ჭირნახული თან-და-თან ძვირდება, ეს ყველამ კარგად იცის. ხორცი, შეშა და თივა ონში ბევრად უფრო იაფია მთების სიახლოვის გამო. ჰავაც ონში, რასაკვირველია, უკეთესია; ონის გარშემო ბევრი მჟავე წყლებია, უწერა-კი ონზე 15 ვერსტზეა დაშორებული.

რაჭის ნივთიერად გაძლიერება და სასწავლებლების გამრავლება შეუძლია ყველაზე უფრო იქ რკინის გზის გაყვანას. აი, ამისთვის რომ იმეცადინებდნენ ყველა ჩვენი საზოგადო მოღვაწეები, ეს მოიტანს დიდს და უტყუარს ნაყოფს.

პორფირე იაშვილი.

თელავის მაზრის თავად-აზნაურთა და მემამულეთა კრება.

(წერილი თელავიდგან)

(შემდეგი *)

ბ. ზარაფიშვილი. წახალისებაზედ ლაპარაკის გადაუღდას სჯობია დავუბრუნდეთ საგანს. ვილაპარაკოთ იმაზედ, რამდენად და ვისგან შესაძლებელია დროებით ვალდებულ გლეხთა გამამულიანება. ათასობით გლეხთა ოჯახი ბოგანოდ ქცეულნი ელიან სიმართლის წყალობასა; საიდგან უნდა მიევლინოთ ეს წყალობა? უმრავლესობა ნაპატონრებისა მცირე მემამულეა, კუთვნილი მიწით თითონაც გასჭირებია თავის რჩენა. ვინც გაიმეტებს მამულის გაღებას, ისიც არ სთანხმდება კანონით დადებულ ფასად დასთმოს მამული.

თავმჯდომარე. სექციამ მიიღო გადაწყვეტილება, სავალდებულოდ იქმნას ნადელის მიცემა, ხოლო იმ ფასად, რა ფასიც მამულს ახლა აქვს.

ბ. გოგნიევი. შესყიდვა ვენახების ისედაც სავალდებულოდ ითვლება, მაგრამ არა სრულდება. დღეს მემამულეთა მდგომარეობა ბევრად განსხვავდება იმ მდგომარეობისაგან, რომელშიაც იყვნენ „უსტავნოი გრამოტის“ შედგენის დროსა. მას შემდეგ, ზოგს მამული გაეყიდა, ზოგნი გაიყარნენ და შეიქმნენ მცირე მემამულენი. არიან ისეთნიც, რომელთაც გლეხის კანონიერი ნადელის ოდენა მამული არა აქვთ. აბა, საიდგან მისცემენ ესენი ნადელს? მამა ჩემი თვისი ძმებით გრამოტაში დიდ მემამულედ ითვლება, ძმებს გაუყარა და ახლა 45 დესეტ. აქვს. ნაყმევები-კი 12 კომლი. ამათ თუ ნადელი მისცა, თვით პროლეტარი გახდება. რასაკვირველია, ამ მდგომარეობაში მყოფი, ყოველ ღონისძიებას ხმარობს დააბრკოლოს ნადელის მიცემა. ასევე იქცევიან თითქმის სულ ყველანი. ამიტომ აუცილებელ საჭიროებად ხდება, რომ დროებით ვალდებულ გლეხთ ხაზინამ მისცეს ნადელი, თუნდა გამოსყიდვით, თუნდა სახასო გლეხთა რიგზედ. უამისოდ საქმე არ გამოკეთდება, მით უმეტეს, რომ საძოვრის უქონლობა ბევრად აბრკოლებს გამოსყიდვის საქმეს. თუ სადმე ეს საქმე მოეწყო, ვითხოვოთ, ნაყმევებს ხაზინამ მისცეს ნადელი.

ბ. ზარაფიშვილი. სახელმწიფო ინტერესი მოითხოვს, რომ გლეხებს მიწა ჰქონდეთ, ამასვე ითხოვს თავად-აზნაურთა და კერძო მემამულეთა ინტერესი, რადგანაც დღევანდელი მდგომარეობა და დამოკიდებულება ხელ-ფეხს უკრავს უკანასკნელთ ყოველგვარ სამეურნეო კულტურაში. ერთის ფეხით კულტურით წინ წასულს შეუძლიან უზარალოდ ერთი-ორად მეტი ფასი გადაიხადოს თვითეული მუშისა, აწინდელი მეურნეობა-კი ამ მცირე ფასსაც ვერ უძლებს უზარალოდ. დამოკიდებულება ნაბატონართა და ნაყმევთა შორის ისე აწეწილ-დაწეწილია, რომ ნაყმევებს თვისი სასარგებლო ვეღარ გაურჩევიათ საზარალოსაგან, რის გამო ვერა რიგდებიან ერთმანერთში. მოურიგებლობას, გარდა პირდაპირი შედეგისა, მრავალი მავნებელი შედეგი მოსდევს, რაც მეურნეობაში ჩადგრილი ოფლის ისედაც მცირე ნაყოფს, უფრო ამცირებს. თუ მეურნეობის დაქვეითება საზარალოა სახელმწიფოსათვის, თუ დროებით - ვალდებულ გლეხი არავითარი შეღავათი არა აქვთ შედარებით სახასო გლეხებთან, რატომ არ უნდა იყვნენ გათანასწორებულნი პირველნი მეორეებთას? თუ-კი პირველნი მეორეებთან ერთნაირად მიიწევიან სახელმწიფო ვალის საწყვრად, სიმართლე მოითხოვს-რომ ორივენი ერთნაირად იყვნენ დაკმაყოფილებულნი მიწითაც, ტყითაც, საძოვრითაც და წყლითაც. რათ არის დავიწყებული ეს სამართლიანი მოთხოვნილება? მართალია, სახელმწიფოს იმაში პირ-და-პირი ბრალი არ მიუძღვის რადგანაც ნაბატონრებს უნდა მიეცათ ნაყმევებისათვის ყოველივე, მაგრამ რა-კი ეს მიცემა ისე იყო მოწყობილი, რომ დღევანდლამდე ვერ შესრულდა, რა-კი დღეს სავსებით შესრულება შეუძლებელია, ნუ-თუ დრო არ არის ახლა მაინც გათანასწორებულ იქმნენ ნაყმევნი და სახასო გლეხნი ეკონომიურად? დრო არის, დრო და ძალიან მარჯვე დროც არის ვითხოვოთ, რომ ეს დროებით ვალდებულება სრულიად მოისპოს, სამაგიეროთ, მიეცეთ ნადელი თავად-აზნაურობისაგან, ვისაც შეუძლიან, დანარჩენთ კიდევ სახელმწიფოსაგან. ერთხელ და სამუდამოდ გაწყდეს ეს ამიახის ჯაჭვი, რომლითაც მიჯაჭვულნი არიან ნაბატონრები და ნაყმევნი ერთმანერთზე„ და რომელსაც აგერ თითქმის 40 წ. რაც ყვავ-ყორანი ღრღნის და ისევ ახლდება.

თავ. გ. ჯანდიერი. გაზნაძიანში წინადადება მივეცით დროებით ვალდებულ გლეხთ, რომ ერთ მხარეს აეღოთ ნადელი და ვერაფრით ვერ დავითანხმეთ. ისინი არჩევენ, რომ ხუთი დესეტინა ექვს ნაჭრად ჰქონდეთ. რა თქმა უნდა, ამისთანა გაფანტვა ნაყმევების ხვედრი მამულისა საბატონო მამულებს შუა არ არის შესაწყნარებელი.

თავმჯდომარე. მეც მქონდა ამნაირივე შემთხვევა ამ ცოტა ხანში და ვერას გზით ვერ დავითანხმე გლეხები ცალკე გამოეყოთ სანადელო მიწა.

თავ. თარხნიშვილი. კანონი ნებას აძლევს ნაბატონებს, რომ გლეხებს ერთ მხარეს მიუზომოს ნადელი.

თავ. გ. ჯანდიერი. კანონი ნებას გაძლევთო. ბატონებო, იმ დღეს, როცა ჩემ მიერ დასახელებული შემთხვევა მოხდა, კანონიც იქ იყო, მომრიგებელი შუამავალიც და თვით თ. თარხნიშვილიც, მაგრამ გლეხები ვერავინ დაიყოლია. სადღაა კანონის ნება?

ა. გოგნიევი. გლეხებს გათვალისწინებული აქვთ რაც მოსდევს ნადელების განცალკევებას, იციან, რომ ნელა-ნელა აეკრძალებათ საბატონო მიწებზედ საქონლის საძოვრად გარეკა, ამისათვის არჩევენ საბატონო მიწებში აქა-იქა ჰქონდეთ თვისი ნადელი.

თავმჯდომარე თხოულობს, რომ კომისია იყოს არჩეული კრების გარდაწყვეტილების დასაწერად. დაასახელეს კანდიდატები და არჩეულ იქმნენ: თ-დი ა. ვახვახიშვილი, ბ. ი. სტაროსელსკი, ბ. გ. კახიძე, ბ. ს. დანდუროვი და ი. ზარაფიშვილი. ათი წამით კრება შესწყდა.

ნადიკვრელი.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ივერია“ № 267.

კავკასია

7 დეკემბერს კავკავში აკურთხეს ქალაქის მეორე ოთხ-კლასიანი სასწავლებელი. ვინც ამ სასწავლებელში სწავლას დაასრულებს, ნება ეძლევა სწავლის განგრძობისა.

—

დ-რმა კალინოვსკიმ სისხლის სამართალში მისცა შემდეგი ბებიები (აკუშერკები) ბაქოსი: სოფიო დუშკინი, ვერა კოჩმარჟევსკი, ვერა უტილოვი და რაისა რაისფელდ-საზონოვისა. მათ ჰბრალდებათ ცილის-წამება. ამ საქმის განხილვა დანიშნულია იანვარში ბაქოს საოლქო სასამართლოში.

რუსეთი

ამ მოკლე ხანში პეტერპურგში გამოვა ყოველ კვირეული გაზეთი „Страхованіе“.

— ნიკოლაევის (სამ. გ.) სამაზრო სასოფლო სამეურნეო კომიტეტის თავმჯდომარემ (მარშალმა) კრების წინ გამოაცხადა, რომ კომიტეტის კრებები საჯაროდ არ მოხდებაო. ამის შემდეგ საერობო ხმოსანმა, პროტოპოპოვმა, რომელიც მიწვეული იყო კომიტეტში, წარმოსთქვა, რომ, მისის აზრით, სასოფლო სამეურნეო კომიტეტებს არავითარი მნიშვნელობა არ ექმნება, თუ კრებები საჯარო არ იქმნება და ლაპარაკი თავისუფალიო. წარმოსთქვა ეს თუ არა, ადგა და გავიდა კარში. მასთან ერთად კრების დარბაზი მიატოვეს აგრეთვე ხაზინის წარმომადგენელმა: ზუბოვმა, საქველ მოქმედო საზოგადოების გამგემ ბობროვმა, სასოფლო სამეურნეო ამხანაგობათა წარმომადგენლებმა, მედვედევმა და რახმანინმა (ორივე გლეხია).

— ერთ მსხვილს მიწად მფლობელს ტამბოვის მაზრისას, თავის საკუთარ სოფლის ადგილ-მამულების დასაცველად ჩერქეზები გამოუწერია, რომლებსაც თურმე კაცის მოკვლა ჩალად მიაჩნიათ. თუმცა მათ აკრძალული აქვთ რევოლვერის და თოფის ტარება, მაგრამ აკრძალვას ვინ უყურებს. ამ ხანში ყოფილა შემდეგი შემთხვევა: მუშები კანტორის წინ იდგნენ და ანგარიშს უცდიდნენ. ამ დროს შემთხვევით შეუხედნიათ ოთახში, სადაც ბატონის დარაჯები, ჩერქეზები, ყოფილან, რომელთაც არ მოსწონებიათ მუშების ამ გვარი ცნობის მოყვარეობა და ერთს მათგანს თოფი გაუსვრია მუშებში და 7 კაცი დაუჭრია, სრულიად უმიზეზოდ.

— გზათა სამინისტროში წარდგენილია პროექტი რკინის გზის მოხელეთა შესახებ. ამ პროექტის ძალით, რკინის გზის მოხელეთ უნდა მოემატოთ ჯამაგირი, მათი სამსახური სახელმწიფო სამსახურად უნდა ჩაითვალოს და სხვ...

— საერო განათლების სამინისტრომ შეადგინა მომავალ პედაგოგიურ მუზეუმის პროექტის წესდება, რომელიც უნდა დააარსონ საერო განათლების სკოლებთან.

უცხოეთი

ჩრდილო-აფრიკა. ასსუანში, რომელიც მდ. ნილოსის პირად მდებარეობს შესართავიდგან 700 კილომეტრის მანძილზედ სამხრეთით, დეკემბრის 10-ს (ახ. სტ.) დიდის ამბით აკურთხეს ნილოსის დიდი საგუბარი ქედივისა, ინგლისის მეფის წარმომადგენელის კონაუტის პრინცისა, ლორდ კრომერისა, გერმანიის სადიპლომატო აგენტის ფონ-მიულლერისა, ეგვიპტის საზოგადო სამუშაოთა მინისტრისა და სხვა უმაღლეს მოხელეთა თანადასწრებით.

ამ ვეება საგუბარის დანიშნულება ისაა, რომ ნილოსის ადიდების დროს წყალმა არ გადმოხეთქოს და არ წალეკოს ხოლმე მიდამოები, როგორც აქამდე ხდებოდა. საგუბარს შეუძლიან შეაკავოს 1,000,000,000 კუბიკური მეტრი წყალი, რომელსაც გვალვის დროს ელექტრონულ მანქანებით ნაწილ-ნაწილად გამოუშვებენ ხოლმე სხვა-და-სხვა საჭიროებათათვის.

კურთხევის დროს უფროსმა ინჟენერმა ქედივს გადასცა ვერცხლის „გასაღები ნილოსისა“—არაბულ დ ინგლისურ წარწერით: „ასსუანის საგუბარის პირველ შლიუზის გაღება მათის უმაღლესობის ქედივის მიერ მეათერთმეტე წელსა მათის ხელმწიფობისა. 1902 წელსა დეკემბრის ათსა დღესა“.

ქედივმა სულ თავისუფლად [illegible] ერთ ელექტრონით მმოძრავი შლიუზა და საშინელის შხუილით იწყო წყალმა დენა. იმდენად დიდებული სანახავი იყო ეს სურათი, რომ ყველა მაყურებელზედ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

ასსუანის საგუბარის გეგმა ინგლისელ ინჟენერმა ვილკოკსმა შეადგინა, ხოლო აშენებით ინგლისის რანსონ და რაპირის კომპანიამ ააშენა. სიგრძე საგუბარისა 1,700 მეტრია.

ამ საგუბარის წყალობით ზემო - ეგვიპტეში 1,600,000 ჰექტარ.-მიწის,—დღემდე უწყლობის გამო სრულიად გამოუსადეგარისა,—შემუშავება და განაყოფიერება შეიძლება.

ნარკვევი

„**Журналъ для всѣхъ**“-ში მოყვანილია ლ. ნ. ტოლსტოის წერილების ზოგიერთი ადგილები, რომლებიც აღზრდის საქმეს შეეხება.

აღზრდის შესახებ—ამბობს დიდებული მოაზრე—მე ძლიერ ბევრს ვფიქრობდი. არის მრავალი საკითხი, რომლიდგანაც შეიძლება მხოლოდ საეჭვო აზრით დაასკვნას კაცმა, მაგრამ არის იმნაირი საკითხნიც, რომელთაგანაც დაოთხკუთხებულის, დაბოლოვებულის აზრის დასკვნაც შესაძლოა. მაინც სცდილობ, მაინც გინდა, რაიმე მიუმატო, გაამშვენიერო ის აზრი.

აღზრდა რთული და ძნელი საქმეა მხოლოდ მანამდე, ვიდრე ჩვენ—თითონ აღუზრდელებს გვსურს აღვზარდოთ ჩვენი შვილები, ან-და ვინმე სხვა. ჯერ უნდა აღვზარდოთ ჩვენი თავი და მერე შევუდგეთ სხვის აღზრდასა და გაწვრთნას. როცა ამას შევიგნებთ, მაშინ აღზრდის შესახებაც საკითხი გადაწყვეტილია. რჩება მხოლოდ ერთად ერთი საკითხი ცხოვრებისა: როგორ უნდა ვსცხოვრობდეთ თითონ ჩვენ? არ არის არც ერთი მოქმედება ბავშვის აღზრდისა, რომელიც არ ეხებოდეს თითონ ჩვენს აღზრდას. როგორ უნდა ჩავიცვათ, როგორ უნდა ვიკვებებოდეთ, როგორ უნდა გვეძინოს? როგორ შეიძლება ყოველივე ისე ასწავლო და ჩააგონო ბავშვს? ყოველივე ეს ჩვენისავე მაგალითით უნდა ჩაეგონოს ბავშვს. თუ მამა, დედა სჭამენ, სმენ, იცვამენ ზომიერად, თუ შრომობენ და სწავლობენ, —ამ შემთხვევაში ბავშვებიც სწორედ ასე მოიქცევიან.

მე რომ მკითხონ, აღზრდის ორს წესს ვურჩევდი ყველას: ჯერ უნდა მეცადინეობდე თავის გაუმჯობესობის შესახებ და მეორე—ბავშვს შენს საკუთარს ცხოვრებაში არაფერი არ უნდა დაუმალო-გაცილებით უკეთესია, ბავშმა აშკარად იცოდეს დედ-მამის სუსტი რამ ხასიათი, ვიდრე ჰფიქრობდეს და ჰგრძნობდეს, რომ არსებობს ორ ნაირი კერძოობა მშობელთა ცხოვრებისა, ერთი ცნობილი, აშკარა მისთვის, მეორე-კი—უცნობი და დაფარული. მთელი სიძნელე აღზრდისა ის არის, რომ მშობლები სრულებით არ სცდილობენ თავიანთი ნაკლულევანებანი გაისწორონ,—არა თუ არ სცდილობენ, ვერც-კი ხედავენ ამ ნაკლულევანებას; ამ დროს-კი უნდათ აღმოფხვრან ბავშვში იგივე ნაკლულევანებანი. ეს არის დიდად ძნელი, ამის გამო ბრძოლაა ბავშვებსა და მშობლებს შორის.

ბავშვი უფრო გულახდილია, ვიდრე დიდი. ბავშვი ამჩნევს მშობელს ნაკლულევანებას. თუმცა-

---

პირველად არ მოუტყუებია. როგორც მე, ისე ყველა მამულის ერთგული იმას ინატრებს, რომ ბატონიშვილს პეტერბურგში წამოსვლა, რაც შეიძლება, მალე დაეგვირგვინებინოს, რადგან ამით დამკვიდრდება, როგორც ჩვენს შორის, ისე მთელს საქართველოში მშვიდობიანობა და წყნარი, მოსვენებული ცხოვრება“ *).

სამი-ოთხის თვის შემდეგ ყოველივე ეს, სავსებით გამართლდა და ბატონიშვილი სულ სხვა გზას დაადგა. გახარებულმა გენერალმა აიღო ისევ ხელში კალამი და სადაც ჯერი იყო ალტაცებით აცნობა: „თუმცა ძლიერ ვსწუხვარ, რომ ჩემი წინად-გრძნობა სავსებით გამართლდა, მაგრამ ვალდებული ვარ, მაინც მოგახსენოთ ყველაფერი დაწვრილებით: წასულ კვირაში მოვიდნენ ჩემთან ბატონიშვილის შესაგონებლად განგებ გაგზავნილი კაცები: სომეხი მადათოვი და პრაპორშჩიკი ყორღანოვი და მოიტანეს პასუხი ჩემის წერილისა. ბატონიშვილი მწერს, რომ ამ მადათოვთან და ყორღანოვთან ერთად გიგზავნი ჩემს კაცებს და ,იმედი მაქვს, უზრუნველ ჰყოფთ მათ გადასვლას სპარსეთშიო. ეს ისეთივე სიცრუე და ,სპარსული ეშმაკობაა, როგორსაც ხშირად ჰხმარობს ხოლმე ბატონიშვილი რუსეთის მთავრობის მოსატყუებლად. მადათოვი და ბასტამოვი ისე მოვიდნენ ჩემთან, რომ იმათ სრულებით არავინ არ მოჰყოლია, და ეს სიცრუე ინება ბატონიშვილმა იმ აზრით, რომ ამ გვარ მიწერ-მოწერით დროს მოვიგებ და გაზაფხულზედ უფრო გამიადვილდება ანწუხიდგან სპარსეთში გადასვლა და რუსის მთავრობის ცარიელზედ დასმაო. როდესაც მადათოვს და ბასტამოვს ვკითხე, სადღა არიან ბატონიშვილის კაცები-მეთქი, რაღაც ეშმაკური, სიცრუით შეზავებული პასუხი მომცეს: „მაგაში, ბატონო, ყორღანოვი გახლავს დამნაშავეო“, მითხრა მადათოვმა. როდესაც ანწუხიდგან წამოვედით და ბატონიშვილის მხლებლებიც თან მოგვყვებოდნენ, გაავრცელეს ხმა, რომ ვითომ ყორღანოვს ეთქვას: „როგორც გადასცდებიან საზღვარს, ბატონიშვილის გაგზავნილ კაცებს რუსები ყველას დაიჭერენ და ციმბირში გაჰგზავნიან“. ამ ჭორისა შეეშინდათ და ის კაცები უკან დაბრუნდნენო. ეს ისეთი სიცრუე იყო, რომ მე ყურიც არ ვათხოვე; მეწყინა მხოლოდ, საცინლად მიგდებდნენ და ჩემი მოტყუება უნდოდათ. ამასთან მადათოვმა ისიც გადმომცა, რომ ბატონიშვილი ყორღანოვზედ ძლიერ გულნატკენია, რადგან გენ. დელპოცოს მიერ გაგზავნილი ფული გზაში გაუფლანგავს, შეუჭამია და სრულად არ მიუტანია. თუმც ეს სამნი მადათოვი, ბასტამოვი და ყორღანოვი სომხები იყვნენ, ერთის გვარტომისანი და ბატონიშვილის შეგონებაც თავდაპირველად იმათი მოსაზრება და პლანეიი იყო, მაინც რაღაც ეჭვი შემეპარა და არ დავიჯერე მათი ნათქვამი და არც დასაჯერია. თუმცა ძალიან გამიკვირდა ამ სამის კაცის ორ დასად გაყოფა, მაგრამ სრულებით სახეც არ მიჩვენებია, რომ მე მათს მოქმედებას ეჭვის თვალით ვუყურებ; ტფილისის კომენდატს-კი მაინც საიდუმლოდ ვუბრძანე, რომ ამ სამი კაცისათვის სასტიკად ედევნა თვალ-ყური.

სამმა-ოთხმა დღემ გაიარა, რომ მოვიდა ჩემთან ანწუხიდგან იმერელი აზნაური სიმონ მაჭავარიანი, რომელიც დიდხანს სცხოვრობდა ბატონიშვილთან ანწუხში და რომელმაც ყორღანოვის მიერ გამოგზავნილი რაპორტი მომართვა. რაპორტი დაწერილია კარანდაშით; ამ რაპორტის პირი გადვიღე, რომ კარანდაშით დაწერილი არ წაშლილიყო და ამით შინაარსი გაუგებელი არ გამხდარიყო. დედანს ამასთანავე ვგზავნი და პირი-კი მევე დავიტოვე. საქმე ის არის, რომ პრაპ. ყორღანოვი, რომელმაც ფული და ხელმწიფის ნება-რთვა გადასცა ბატონიშვილს, ამ ჟამად ანწუხის ლეკებს დაჭერილი ჰყავთ და არსად არ უშვებენ. ბატონიშვილს ჰსურს, რომ ყორღანოვი სიკვდილით დასაჯონ, მაგრამ ლეკები არა თანხმდებიან. რაპორტიც ამ მიზეზით არის დაწერილი კარანდაშით, რომ ყორღანოვი, ყოველ ღონის ძიებას მოკლებულია, არა აქვს მელანი, არც კალამი, არც ბინა და არც შესაფერი სმა-ჭამა. იმერეთის აზნაურს სიმონ მაჭავარიანსაც მოსწყენია ბატონიშვილთან უსაქმოდ ყოფნა, მოუსვენარი ცხოვრება, აქეთ-იქით წანწალი და, დიდის გაბედულობით აღჭურვილს, უშოვნია ყორღანოვისათვის პატარა ნახევი ქაღალდი და საიდუმლოდ მიუწოდებია. ყორღანოვმაც კარანდაშით დაწერილი რაპორტი ამ მაჭავარიანსავე გამოატანა, რადგან ამით შეეძლო ჩვენს წინაშე პატივი დაემსახურებინა. მაჭავარიანმა სიამოვნებით მიიღო ეს რაპორტი და მოგვიტანა კიდეც. ამ რაპორტიდან ყოველივე ნათლად სჩანს, სახელდობრ ისა. თუ რა აზრს ადგია ბატონიშვილი და ან რას აპირობს. აზნ. სიმონ მაჭავარიანმა ისიც გადმომცა, რომ ბასტამოვისა და მადათოვის სიტყვები არც ერთი დასაჯერებელი არ არის, რადგან ორმავე ერთად შეჰფიცეს ბატონიშვილს ერთგული სამსახური იმ ცხოველ-მყოფელ ჯვარზედ, რომელსაც ბატონიშვილი მუდამ გულზედ ატარებს. ყორღანოვმა-კი ფიცი არ მიიღო და მიზეზიც ეს იყო, რომ ბატონიშვილი მის თავს ლეკების გამოჩენილ ავაზაკს მურ-მაჰმადს შეჰპირდა, თუ უვნებლად და სრულიად ფარულად გადიყვანდა ბატონიშვილს სპარსეთის საზღვარზედ. რომ ეს სწორედ ასეა, კიდევ უფრო იმან დამარწმუნა, რომ დღე არ გავა, ამბავი არ მომივიდეს ბატონიშვილის სპარსეთში წასასვლელად მომზადებისა. გაუვრცელებიათ ხმები, ვითომ ამ საქმეში თვითონ რუსეთის მთავრობა ეხმარებოდეს, დიდი ფული გამოეგზავნოს და ხელს უწყობდეს მის გაპარვას. ელისუის სულტნის ახმედ-ხანის წერილმა კიდევ უფრო მეტი ეჭვი აღმიძრა მადათოვისა და ბასტამოვის უკანვე დაბრუნების შესახებ. იმათზედ მე სულ სხვა აზრისა ვიყავი და ახლა-კი თითქმის გადავწყვიტე, რომ ეს ორი სომეხი არამც თუ უკანვე გამეშვა ანწუხში, არამედ დამეჭირა და ციხეში ჩამეყარა, მაგრამ ბოლოს ვიფიქრე: ამ გარემოებას სულ სხვანაირად გამოიყენებს ბატონიშვილი თავის გასამართლებლადა-მეთქი, და აღარ შევასრულე ჩემი სურვილი. ეს რომ მართლა მომხდარიყო და ეს ორი სომეხი ციხეში ჩამეყარა, ბატონიშვილი მთელს ქვეყანას მოსდებდა, რომ ჩემი გაგზავნილი კაცები დაიჭირეს, დააპატიმრეს და მე როგორ შემეძლო რუსეთის მფარველობისათვის მიმემართნა და სპარსეთის არ წავსულიყავიო. ამასთან ისიც ვიფიქრე, რომ ბატონიშვილს ჯიბე ცოტა სქლად ჰქონდა და წადილს ადვილად მიაღწევდა. პრაპ. ყორღანოვი, ბასტამოვი და მადათოვიც სხვაფრივ დაიწყებდნენ მაშინ ლაპარაკს. ამისათვის უფრო სასარგებლოდ ვსცანი, მადათოვი გამეშვა ანწუხს ბატონიშვილთან პასუხის მისატანად, და არც ერთს სახე არ ვაჩვენე, რომ ჩვენ ყველაფერი, რაც-კი რამე ანწუხში ამბავია, ძლიერ კარგად ვიცით. ესენი რომ გავამზადეთ წასასვლელად, საიდუმლოდ ვაცნობე გენ. მაიორ სტალს, რომელიც საქართველოს გუბერნატორის თანამდებობას ასრულებდა, რომ სასტიკი ყურადღება მიექცია, როგორც ამ ორის სომხისათვის, ისე მთელის ანწუხის საზოგადოებისათვის. გუბერნატორს პირობა უნდა ჩამოერთმია მთელის ანწუხის საზოგადოებისათვის, რომ ბატონიშვილი ალექსანდრე სპარსეთს არ გაეშვათ და რუსეთის წინააღმდეგ არაფერი არ გაებედნათ. მაშინ ბატონიშვილი იძულებული იქმნება ყიზლარში გადმოვიდეს. თუ ასე არ მოვიქეცით, ბატონიშვილი სპარსეთში ამოჰყოფს თავს და ანწუხის საზოგადოებას ტანჯვა-წვალების მეტი არა მოელის-რა ჩვენგანაცა და სპარსელებისაგანაც“. *)

VI

რუსეთის მთავრობამ ყოველ-გვარი ღონისძიება იხმარა ბატონიშვილის ალექსანდრეს შესაპყრობად... არ დაუზოგავს ამისათვის არც მოფერება, არც ალერსი, არც ფული და არც სხვა საშუალება, მაგრამ ბატონიშვილის ერთხელვე გაქვავებული გული და რუსებისადმი გაცივებული გრძნობა ვერაფერმა ვერ მოალბო, ვერ გაათბო და ვერ მოაბრუნა. სანამ გუბერნატორი სტალი რაიმე განკარგულებას მოახდენდა, ან ბატონიშვილის გაგზავნილი კაცები უკანვე დაბრუნდებოდნენ, სპარსეთის სიყვარულით გატაცებული ალექსანდრე გამოემშვიდობა თავის ქვეყანას, განშორდა რუსის მთავრობას და სამუდამოდ შეაფარა თავი სპარსეთს. მასუკან ალექსანდრეს აზრადაც აღარ მოსვლია საქართველოში დაბრუნება და თავის მამა-პაპათა სისხლით შეღებილ მიწა-წყალში განსვენება. ალექსანდრე სამუდამოდ დაბინავდა სპარსეთში. იცოცხლა მან ღრმა მოხუცებამდე და გარდაიცვალა 1844 წელს, თეირანში 73 წლისა; იქვე არის დასაფლავებული შაჰ-აბდულაზიმის უბანში.

ბატონიშვილ ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ მისი სურათი გადაღებული ჯანჯულაზოვის მიერ, იპოვეს სპარსეთის ქვეშევრდომის საგინოვის ოჯახში; ეს საგინოვი საქართველოდგან ყოფილა გადასული და გამაჰმადიანებული. ბატონიშვილის სურათის ორიგინალზედ შემდეგი სიტყვები ეწერა:

„სახე არს ალექსანდრესი,
დამცემი მტერთა ზარისა;
მეფე ირაკლის მეორის ძისა,
თვით ლომთა შესადარისა;
ქართლ-კახ მეფობის მოსურნის,
დღე და ღამ დაუმცხრალისა.
დავხატე მონამ სახსოვრად,
მოღვაწის შესაგვარისა“.

თეოფილე ხუსკივაძე.

ქ. ქუთაისი. 1902 წ.

---

*) იქვე გვერდი 392.

*) იქვე, გვერდი 395.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი არ ამხელს. ხედავს თავის მშობლების უდიდესს ნაკლს—ფარისევლობას. ამის გამო ბავშვი ყოველთვის ეჭვის თვალით უყურებს მშობლების სწავლებას და დარიგებას.

მშობლების პირმოთნეობა, ფარისევლობა ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. ბავშვის ცნობის-მოყვარეობა ამას მალე ამჩნევს, იზიზღებს, მაგრამ ითვისებს-კი და თვითონაც ირყვნება.

ამისათვის, რომ არ დაანახო ბავშვს შენის ცხოვრების საზიზღრობა, ეცადე, მოსპო ამგვარი ცხოვრება, ან-და გააუმჯობესო მაინც. როგორც ჰხედავთ, აღზრდა სხვისი მხოლოდ მაშინ არის შესაძლო, როცა თვითონ შენ ხარ აღზრდილი; სხვა არაფერია საჭირო...

მშობლები სცხოვრობენ თვითონ გარყვნილებაში, რაც მოჰხვდებათ სჭამენ, სხვისი ცხოვრება ფეხებზე ჰკიდიათ; ამავე დროს-კი ბავშვებს უჩიჩინებენ, ეს მავნებელია და გამრყვნელი ჩვეულებაო. მაგრამ ცხოვრების მაგალითის ენა შორს ისმის, ყველა ნათლად, ადვილად ამჩნევს, როგორც დიდი ისე პატარა, როგორც შინაური, ისე გარეული...

ყოველი ადამიანი თავის პიროვნების აღდგენას ეტანება...

თანამედროვე აღზრდა-კი სწორედ ადამიანის პიროვნებას სთელავს, ანადგურებს...

აღზრდა ცხოვრების ნაყოფია. უნდა იყო ბავშვთან გულ-ახდილი, მართალი და პატიოსანი. შენს სულიერს ვითარებას არ უნდა უმალვიდე,—აი ერთად-ერთი აზრი და შინაარსი აღზრდისა.

პედაგოგოგია არის მეცნიერება, რომელიც ასწავლის, როგორ შეიძლება ცუდად, გარყვნილებით სცხოვრობდე და ამავე დროს ბავშვებზე კარგი გავლენა იქონიო. პედაგოგია მედიცინას ჰგავს, რომელიც ამბობს: შეიძლება ბუნებრივ კანონების წინაალმდეგ ცხოვრება, მაგრამ ამავე დროს იყო ჯამრთელი-

ბიბლიოგრაფია

„ვაშლის და ხეხილის მუმლი" ქარცივაძისა ფასი 7 კაპ.

ეს წიგნი მათთვის, ვინც ბაღოსნობას მისდევს, გამოსადეგი წიგნია. ცოტა-არა გაჭიანურებულია, მაგრამ არა უშავსრა, მაინცკი უკეთესი იქნება, რომ ამისთანა წიგნები იწერებოდეს, რაც შეიძლება, მოკლედ და ცხადათ. არ ვიცი, ავტორს, ვაშლის ერთნაირი მტრის—**„Яблоновую моль-**ისთვის რათ დაურქმევია „ვაშლის მუმლი"? ვგონებ რომ უფრო სწორე იქნებოდა, რომ ეს სიტყვები ქართულად ეთარგმნა „ვაშლის ჩრჩილათ". მუმლი რუსულად **„Тля"** არის. უბრალო თვალითაც შევამჩნევთ, რომ მოხსენებული მტერი ვაშლისა ძრიელ წააგავს ჩრჩილსა. წიგნში არ არის მოხსენებული ფრიად სასარგებლო საშუალება ყოველი ამგვარი მავნე მწერის და კერძოდ ვაშლის ჩრჩილის წინაალმდეგ—ხლოროვანი ბარი. **(хлористый барій)** ყველა ამ წიგნში ჩართული სურათები ამოღებულია ჰოშეს წიგნიდან; ავტორს-კი ერთგანაც არ უხსენებია ეს გარემოება. ავტორს ვურჩევ, ამგვარი წიგნები შეადგინოს მოკლედ: უჩვენოს მხოლოდ განსაკუთრებული თვისებანი და ნიშნები ხეხილის მავნე პაწია მწერებისა. ამათ საწინაალმდეგო საშუალებანი მრავალია, მაგრამ ამ მრავლიდგან მხოლოდ ისეთები უნდა იყვნენ ვრცლად აღნიშნულნი, რომელნიც მართლა სასარგებლონი არიან, ხოლო დანარჩენების შესახებ იკმაროს მათი დისახელება; იგინი მეტის ღირსნი არ არიან, რადგან თითქმის არავითარ ნამდვილ სარგებლობას არ იძლევიან. დასასრულ ვუსურვებ ავტორს წარმატებას და ამგვარი შრომის გაგრძელებას სასარგებლოდ სამშობლო ბაღოსნობისა.

მ. ზაალიშვილი.

წერილები

რედაქციის მიმართ.

მოსკოვში მოვიდა ცნობა, რომ ბუდაპეშტის უნივერსიტეტის პროფესორი ოსკარ ასბოტი შესდგომია ქართულის ენის შესწავლას. მომმართავს-რა მე თხოვნით, დახმარება აღმოვუჩინო მის განზრახვას, რომლითაც იგი ამ ჟამად გატაცებულია, მისახელებს წიგნებს—სახელმძღვანელოებს ქართული ენის შესასწავლად. რადგანაც საჭირო წიგნები მხოლოდ ტფილისში მოიპოვება, ამიტომ ვთხოვ რომელსამე ჩვენთვის გულშემატკივარ პირს გაუგზავნოს პროფესორს ასბოტს შემდეგი წიგნები: 1) ჩუბინაშვილის ქართულ-რუსული ლექსიკონი; 2) ნასიძის «Самоучигель грузинскаго языка», 3) გოგებაშვილის დედა-ენა და ბუნების კარი, 4) ჩუბინაშვილის ქართული გრამატიკა.

ამას უნდა დავუმატო, რომ პროფ. ასბოტი ცნობილია, როგორც სლავისტი, საუცხოვოდ იცის რუსული ენა, თუმცა ჩამომავლობით უნგრო-ვლახელია. გაცნობებთ აგრეთვე, რომ პროფ. შუხარდტი, ჩემის წინადადებით, ამოირჩია საპატიო წევრად ლაზარევის ინსტიტუტმა და პასუხად მილოცვის გამომწერს, რომ ამ მოკლე ხანში იგი დაჰბეჭდავს სტატიას „ქართული სალიტერატურო ენის შესახებ", რომელიც შეადგინა ს. ხუნდაძემ.

ადრესი პროფ. ასბოტისა: Австро-Венгрія. Budapest. uuiversitàt D-r O. Asbot. VI. Muncasy g, 25.

„ივერიის" ფოსტა:

საგარეჯო. გ. ო—ვს. თქვენი წერილი არ იბეჭდება.

გუდაუთი. ს. დ. თქვენი ცნობა არ იბეჭდება.

აბაშა. ეწერელს. არ იბეჭდება. ვის შეუძლიან ფოსტაში შესვლა აუკრძალოს კაცს.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან")

12 დეკემბერი.

პარიჟი. „ჰავასის სააგენტო" უარჰყოფს ხმას, რომ პრეზიდენტის ლუბეს შვილს ესესხოს ქ-ნ ემბერისაგან 2,000 ფრანკი.

ლონდონი. იტალიის მთავრობის თანხმობით, 14 დეკემბერს, ობბიუს, იტალიის კუთვნილ სომალიის კიდეზე, გადასხეს 700 კაცი, წამოსულნი ბერბერიდგან.

ვაშინგტონი. ინგლისისა და გერმანიის პასუხები ასრეა შედგენილი: რუზველტს შეუძლია მიიღოს სამედიატორო გარჩევა, ანუ უვარ-ჰყოს. მან არ მიიღო გარდაწყვეტილება.

ბელგრადი. რკინის გზის სადგურზედ ლამზდორფს მიეგებნენ წარმომადგენელნი მეფისა, მთავრობისა და მოქალაქეთა. დიდის ზეიმით გრაფი მიაცილეს რუსის სადიპლომატიო მისიას, საცა ღამეს გაათევს. დილით აქედგან გავა. ქალაქი გალამპრებულია და დროშებით მორთული.

სეული. კორეის კაბინეტს უფლება მიენიჭა.

ბელგრადი. გაზეთები ბეჭდავენ ბელგრადის მოქალაქეთა მოწოდებას ზეიმით მისაღებად ლამზდორფისა და მცხოვრებნი ემზადებიან ალტაცებულად დაუხვდნენ. 12 დეკემბერს გრაფი ლამსდორფი წავა ნიშს, საცა იმყოფება სამეფო სახლობა. სასახლეში სადილს გამართავენ გრაფი წავა პარასკევს.

სოფია. ემზადებიან დაუხვდნენ ლამზდორფს. მის დასახვედრად ცარიბროდს წავა მინისტრ-პრეზიდენტი. საღამოს გაიმართება სადილი რუსის სააგენტოში, მეორე დღეს იქნება სადილი სასახლეში, კვირას სადილი უცხოეთის საქმეთა სამინისტროში.

პეტერბურგი. 12 დეკემბერს მიხეილის მანეჟში იყო პარადი ფინლიანდიის პოლკისა და ლეიბ-გვარდიის ვოლინის პოლკის რაზმისა ტაძრის დღესასწაულისა გამო. დაესწრნენ დიდნი მთავარნი ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე, ბორის და ანდრია ვლადიმერის ძენი და კონსტანტინე კონსტანტინეს ძე.—მობრძანდნენ ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა და ხელმწიფე მემკვიდრე; გარდაიხადეს პარაკლისი, რომლის შემდეგ საზამთრო სასახლეში გაიმართა საუზმე.—12 დეკემბერს საზამთრო სასახლეში, ხელმწიფე იმპერატორის დასწრებით, მიაკრეს პაჟის კორპუსისთვის ბოძებული დროშა.

პეტერბურგის ბირჟა, 10 დეკემბერს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,70
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,65
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	—
ბირჟის დისკონტი	5—6¹/₂%
4% სახელმწიფო რენტა	97³/₄ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99¹/₂ მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	94¹/₂ მყიდ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	478 გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	372 წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	307 ¹/₄ გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4¹/₂% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	89 ¹/₄ გაყ.
4¹/₂% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	84 ³/₈ გაყ.
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,, ,, ,,	—
,,კასპიის ამხანაგობისა.	4410 წვ. გაყ.
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	414 წვ. გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	209 წვ. გაყ.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდგან 15 მაისამდე.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვისა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპნამდე:—საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 მ.). წ.

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის ბათუმისაკენ: —1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) ხურასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდგან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 30 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. და 40 წ. (2 ს. 38 წ.);

ბათუმისაკენ: 1) ღამის 3 ს. და 10 წ. (4 ს. 8 წ.) 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდგან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:— საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ,).

განცხადება

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება ახალი წიგნი

საქართველო

მეთორმეტე საუკუნეში

დ. კარიჭაშვილის მიერ სურათებით. ფასი 40 კაპ. (10—6.—2)

ქუთაისში

ს. მ. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშ, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილმამულო ბანკის ზედამხედველ კომიტეტისაგან.

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი.

ბანკის წესდების მე-82, 83, 84 85, და 86-§§-ის თანხმად, მსესხებელთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ ქვემოდ ჩამოთვლილ დღეებში, დილის 10 საათზედ, ტფილისის ბანკის სადგომში დანიშნულია

კრება

მომ-ვალ სამის 1903—1905 წლისათვის 105 რწმუნებულის ასარჩევად. პირველ ჯგუფის მსესხებელთა კრება დანიშნულია 15, მეორის—16 და მესამესი—17 იანვარს 1903 წ.

რამდენიც უნდა წევრი გამოცხადდეს, კრება მაინც კანონიერად ჩაითვლება. (შენიშვ. § 86 წესდებისა).

იმათი სია, რომელთაც ნება აქვთ მონაწილეობა მიიღონ რწმუნებულთა არჩევნებში, გამოკიდულია ბანკის სადგომში. (3—6—3)

ამერიკულ ვაზის

აფხანაურის სანერგე მიხრან ალექსანდრეს ძის ანანოვისა

(რკინის გზის რიონის სადგურის მახლობლად).

იყიდება ამერიკულ ვაზზედ ერთის წლის დამყნილი ადგილობრივ და ფრანგულ ჯიშის ვაზები, 1000 ძალი 100 მან.

ამერიკულ ვაზის რქა დასამყნობად:

Rupestris Monticola 1000 მეტრი . 15 მ.
Riparia gloire de Montpellier . . 10 „
Berlandieri კირნარევ ნიადაგისათვის. 30 „

ამერიკული რქა დასარგავად:

Rupestris Monticola 1000 მეტრი . 5 „
Riparia gloire de Montpellier . . 3 „
Berlandieri . . . . 15 „

მსურველს შეუძლიან დაიკვეთოს ნერგები მომავალ 1903—904 წლ. სეზონისათვის.

ადრესი: Ст. Ріонъ, Михрану Ананову.

(10—471—5)

ექიმი ალ. მაღალაშვილი

მიხეილის ქუჩა, 30. ტელეფონი № 450

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 10—1-დე და საღამოთი 6—8-დ. წლ.

რადგან 8 დეკემბერს დანიშნული კრება არ შესდგა,

გამგეობა

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ფარმაცევტთა ამხანაგობისა

ამით აცხადებს, რომ კვირას, 15 **დეკემბერს**, დილის 10 საათზედ, ამხანაგობის მაღაზიის კანტორაში (კავკასიის მუზეუმის პირდაპირ, „სევერნი ნომრების" ქვეშ) დანიშნულია ამხანაგობის წევრთა საგანგებო კრება უსაჭიროეს საგნების განსახილველად. ეს მეორედ დანიშნული კრება კანონიერი იქნება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. (3—6.—2)

სწერა-კითხვის საზოგადოების წიგნი მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
Краткій исторический очеркъ врачебнаго дѣла въ Грузіи,		
ეცნიერებისათვის წამებულნი, სურათებით, თარგმანი ა. ნიკიტინისა	1	„
ველურობა და განათლება, თარგ. ს. ჭუდელისა	„	30
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა თარგმანი ა. ნატ. გიგაურისა	„	50
ბრძნული სიტყვები	„	10
წმიდა აბო ტფილელი	„	30
ლაზარილიო ტორმესელი, ესპანიური მოთხრობა, თარგმ. პ. უმიკაშვილისა	„	10
ტფილისი, მ. ჯანაშვილისა	„	50
თამარიანი, პოემა ს. გუგუნავასი	„	50
ნამუნი გაზით ვენახის მოშენებას ქვარიანისა	„	5
სურამის ციხე, დ. ჭონქაძისა	„	15
კონსტანტინე ბატონიშვილი, თ. ხუსკივაძისა	„	5
ზღაპრები სურათებით	1	„
პაწია და ბუნგლია, სურათებით თარგმანი დ. ავალიანისა	„	30
„შოთა რუსთაველი" მ. ჯანაშვილისა	„	40
Царица Тамара, მისივე	„	50
И. Алхазова	„	30
Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи IV т. Н Марра	3	.
Бальваръ и Іодасафъ, А. Хаханова.	„	60
О грузинскомъ и русскомъ алфавитахъ съ педагогической точки зрѣнія Я. Гогебашвили	„	20
Георгій XII, послѣдній царь Грузіи, Н. Дубровина	1	
Неестественность „естественнаго" метода въ дѣлѣ обученія языкамъ Л. Боцвадзе	„	10

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1903 ГОДЪ

на газету

„Тифлисскій Листокъ"

(ГОДЪ ИЗДАНІЯ XXVI-й)

Въ 1903 году, какъ и раньше, газета будетъ выходить ежедневно, заключая въ себѣ слѣдующіе отдѣлы и подъотдѣлы: I. Дѣйствія и распоряженія правительства. II. Телеграммы отъ собственныхъ корреспондентовъ и «Россійскаго телеграфнаго агентства». Ш. Статьи по общимъ краевымъ вопросамъ, а также по вопросамъ городской жизни и городского самоуправленія. IV. Внутреннія извѣстія. V. Иностранныя извѣстія. VI. Мѣстный отдѣлъ (хроника тифлисской жизни и другихъ мѣстъ Кавказа и Закавказья). VII. Корреспонденціи изъ разныхъ мѣстъ Кавказа (отъ нашихъ корреспондентовъ). VIII. Злободневные фельетоны. IX. Судебный отдѣлъ. X. Письма читателей. XI. Обзоръ печати (общей и кавказской). XII. Фельетоны (городской, обозрѣніе кавказской жизни, популярно-научный, историческій, беллетристика, иностранной и внутренней общественной жизни, журнальное обозрѣніе и др.). XIII. Театръ и музыка. XIV. По Россіи. XV. Смѣсь. XVI. Справочный отдѣлъ и объявленія.

По мѣрѣ надобности будутъ выходить отдѣльныя „иллюстрированныя прибавленія".

По понедѣльникамъ подписчикамъ будутъ разсылаться телеграммы съ справочнымъ отдѣломъ и объявленіями. (3—э.—2)

Открыта подписка на 1903 годъ

на общественно-литертурную и политическую газету

„Б А К У"

съ обширнымъ нефтянымъ отдѣломъ.

Съ пересылкой: на гоъ **8** р. **50** к., **11** м. **7** р. **50** к., **10** м. **7** р., **9** м. **6** р. **50** к. **8** м. **6** р. **7** м. **5** р. **50** к., **5** м. **4** р. **50** к., **4** м. **4** р., **3** м. **3** р., **2** м. **2** р. **50** к., **1** м. **1** р. **50** к.

За границу: на годъ **15** р., на полгода **8** р.

Подписываться можно на всѣ сроки, но не иначе какъ съ перваго числа каждаго мѣсяца.

За перемѣну адреса просятъ высылать **5** семикапеечныхъ марокъ.

Допускается разсрочка подписныхъ денегъ на слѣдующихъ условіяхъ: при подпискѣ вносится не менѣе **4** р. **50** к., а затѣмъ **15** февраля и **15** марта по **2** рубля.

Допускаеття разсрочка и на болѣе льготныхъ условіяхъ, но по соглашенію съ конторой редакціи.

Годовые подписчики на **1903** годъ въ **1902** г. получаютъ газету безплатно со дня подписки.

Подписка принимается въ г. Баку, въ конторѣ редакціи (Парапетъ, домъ Степановой).

Редакторъ-издатель **А. Н. Лавровъ.**

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1903 ГОДЪ

НА ГАЗЕТУ

„КАСПІЙ"

(XXIII ГОДЪ ИЗДАНІЯ).

Въ 1903 году „КАСПІЙ", въ Баку, ежедневно будетъ выходить по прежней программѣ газеты лиуеротурной, общественной и политической, съ особымъ нефтяннымъ отдѣломъ, при той же самой подписной цѣнѣ.

По понедѣльникамъ и послѣпраздничнымъ днямъ будутъ разсылаться, по примѣру прошлыхъ лѣтъ, телеграммы.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Для иногородныхъ: на годъ 8 р. 50 к., на полгода—5 р., на 3 мѣсяца—3 р. и на 1 мѣс. 1 р. 50 коп.

За границу: на годъ 13 руб. на полгода—7 руб.

Допускается разсрочка платежа подписныхъ денегъ на слѣеиющихъ условіяхъ: при подпискѣ вносится не менѣе **3** руб. городскими и **4** руб. **50** коп. иногородными подписчиками; затѣмъ **15**-го февраля **2** руб. и **15**-го марта **2** руб.

Иногородные адресуютъ свои требованія, въ Баку, въ редакцію газеты „КАСПІЙ".

Подписка принимается: въ Баку—въ конторѣ газеты, Николаевская улица, домъ Г. Л. Тагіева; въ Тифлисѣ—въ книжн- магазинѣ Браилко (бывш. Бѣгичева), Головинскій просп., № 10 у. завѣдывающего тифлисской агентурой газеты „КАСПІЙ" и В. А. Герценштейна; въ Москвѣ и въ С.-Петербургѣ въ конторѣ т. д. Л. и Э. Метцль и к-о и во всѣхъ извѣстныхъ книжныхъ магазинахъ столицъ и провинціи.

Редакторъ-издатель **А, М.-б. Топчибашевъ.**

Дозволено цензурою. Тифлисъ, 13 декабря 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе.) Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.